

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო
წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
4. საპროცენტო შემოსავალი	18
5. საპროცენტო ხარჯი	18
6. სხვა შემოსავალი	18
7. პერსონალის ხარჯები	18
8. სხვა ხარჯები	19
9. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	19
10. მოგების გადასახადი	19
11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	21
12. გაცემული სესხები	21
13. სხვა აქტივები	23
14. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	23
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
16. მიღებული სესხები	24
17. სხვა ვალდებულებები	25
18. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	25
19. ფინანსური რისკების მართვა	26
20. რეალური ღირებულების შეფასება	31
21. დაკავშირებული მხარეები	33
22. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება	34
23. პირობითი ვალდებულებები	36
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მისო გირო კრედიტი“ ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მისო გირო კრედიტის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგების, საკუთარი კაპიტალის მოძრაობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აბზაცში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელნი კომპანიისგან.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა და წარადგინოს საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე, თუ არ აპირებს კომპანიის ოპერაციების შეჩერებას ან ლიკვიდაციას.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური რეპორტირების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანეიტრალებელ პროცედურებს და ვიღებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ გამორჩენებს ან შიდა კონტროლების უგულებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ კომპანიის შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე გამოვხატოთ მოსაზრება
- ვაფასებთ კომპანიის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შპს „მისო გირო კრედიტის“ 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულ იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2017 წლის 3 აგვისტოს გასცა არამოდიფიცირებული დასკვნა.

ჩვენ, 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე 22-ე ახსნა-განმარტებით შენიშვნაში აღწერილი ცვლილებების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი ცვლილებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნივართ კომპანიას 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული ცვლილებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 მაისი 2018

შპს „მისო გირო კრედიტი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს


(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016*
საპროცენტო შემოსავალი	4	1,891,032	1,517,970
საპროცენტო ხარჯი	5	(980,982)	(615,144)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		910,050	902,826
სესხების გაუფასურების ანარიცხი	12	(55,546)	(113,580)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების შემდეგ		854,504	789,246
სხვა შემოსავალი	6	872,216	945,657
პერსონალის ხარჯები	7	(536,958)	(321,313)
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(102,215)	(84,996)
სხვა ხარჯები	8	(391,255)	(194,727)
წმინდა მოგება რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგებაში ან ზარალში ასახვით	14	5,037	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	9	172,454	124,738
მოგება დაბეგვრამდე		873,783	1,258,605
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(155,234)	(107,829)
სულ წლის სრული შემოსავალი		718,549	1,150,776

*შესადარისი ინფორმაციის ცვლილების ეფექტი სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე მოცემულია 22-ე ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 24 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი გუგუშვილიძე

მთავარი ბუღალტერი



მარიანა მხითარაიანი

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016*	01.01.2016*
აქტივები				
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	11	1,445,100	1,427,252	805,055
გაცემული სესხები	12	8,356,910	7,466,191	6,195,410
საგადასახადო აქტივი	18	-	4,086	-
სხვა აქტივები	13	44,476	35,613	235
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	14	5,037	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	2,181,322	888,668	978,081
სულ აქტივები		12,032,845	9,821,810	7,978,781
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები				
მესაკუთრეთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		251,083	251,083	251,083
გაუნაწილებელი მოგება		3,560,613	3,072,801	1,922,025
სულ კაპიტალი		3,811,696	3,323,884	2,173,108
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	16	8,009,382	6,446,059	5,560,603
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	10	6,482	20,343	107,681
სხვა ვალდებულებები	17	49,786	31,524	4,625
საგადასახადო ვალდებულება	18	155,499	-	132,764
სულ ვალდებულებები		8,221,149	6,497,926	5,805,673
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		12,032,845	9,821,810	7,978,781

*შესადარისი ინფორმაციის ცვლილების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე მოცემულია 22-ე ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

შპს „მისო გირო კრედიტი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2016	251,083	1,922,025	2,173,108
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,150,776	1,150,776
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	251,083	3,072,801	3,323,884
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	718,549	718,549
გამოცხადებული დივიდენდი	-	(230,737)	(230,737)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	251,083	3,560,613	3,811,696

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		873,783	1,258,605
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ანარიცხი	12	55,546	113,580
ცვეთა და ამორტიზაცია	11	102,215	84,996
საპროცენტო ხარჯები	5	980,982	615,144
საპროცენტო შემოსავალი	4	(1,891,032)	(1,517,970)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	11	-	(3,945)
წმინდა მოგება რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მოგებაში ან ზარალში ასახვით	14	(5,037)	-
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული მოგება	9	(172,454)	(124,738)
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		(55,997)	425,672
გაცემული სესხების ზრდა		(1,206,669)	(774,470)
სხვა აქტივების ზრდა		(8,863)	(42,321)
საგადასახადო და სხვა ვალდებულებების ზრდა		34,398	31,168
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,237,131)	(359,951)
მიღებული პროცენტი		2,109,360	1,470,360
გადახდილი პროცენტი	16	(877,678)	(595,700)
გადახდილი დივიდენდი		(230,737)	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(25,645)	(336,286)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(261,831)	178,423
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(120,064)	(717,343)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	21,040
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(120,064)	(696,303)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	16	(6,462,034)	-
სესხების მიღება	16	8,100,307	366,180
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		1,638,273	366,180
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		1,256,378	(151,700)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	888,668	978,081
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	9	36,276	62,287
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	2,181,322	888,668

*შესადარისი ინფორმაციის ცვლილების ეფექტი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე მოცემულია 22-ე ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

1. ზოგადი ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “მისო გირო კრედიტი” (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2010 წლის 21 ოქტომბერს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის დარეგისტრირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა 2011 წლის 20 დეკემბერს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის უძრავი-მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მიკრო სესხების გაცემა.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი გუგუშვირიძე.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გამსახურდიას გამზირი 3.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების და შეფასების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები: არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შესწორება

შესწორების თანახმად, კომპანიას მოეთხოვება ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარადგინოს წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც მოიცავს როგორც მონეტარულ, ასევე არამონეტარულ ცვლილებებს. კომპანიამ მიმდინარე პერიოდისთვის მოამზადა ზემოაღნიშნული ინფორმაცია (შენიშვნა 19).

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას ორგანიზაციის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ორგანიზაციის სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები ორგანიზაციის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. ორგანიზაცია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განესაზღვრათ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.

ამჟამად, კომპანია აფასებს ზემოაღნიშნული სტანდარტების გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა - ლარი).

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6468	2.3949
ლარი/1 ევრო	3.1044	2.7940	2.6169

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შეძენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

კომპანია ადგენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სესხები და მოთხოვნები

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში სესხების და მოთხოვნების კატეგორია წარმოდგენილია გაცემული სესხების და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ძირითადი ფაქტორები, რომელიც გაითვალისწინება ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას არის ვადაგადაცილება და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შესაძლებლობა.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, რომელიც ჩანს მისი ფინანსური ინფორმაციიდან;
- მსესხებლის გაკოტრების პროცესის დასაწყისი;
- ეროვნული და ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორების გამო სესხის დროული გადაუხდელობა;
- უზრუნველყოფის საგნის ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება გარე ფაქტორების გამო.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. გაუფასურების რეზერვი ითვლება რისკის შემცველი აქტივების ჯგუფური და ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მიხედვით. ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე, ამასთანავე გაითვალისწინება ის მიმდინარე ფაქტორები, რომელსაც ადგილი არ ქონია წარსულში, და გამოირიცხება ის ფაქტორები, რომლებსაც ადგილი ქონდა წარსულში და მიმდინარე პერიოდში აღარ აქვს ადგილი.

კომპანია ახორციელებს იპოთეკური სესხების ინდივიდუალურ შეფასებას გაუფასურებაზე, ხოლო სხვა სახეობის სესხების - ჯგუფურ გაუფასურებას.

გაუფასურების რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით

მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოადგენენ ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც:

- შეძენილია და გაწეულია პირველ რიგში უახლოეს მომავალში გაყიდვისა და განმეორებით შესყიდვისათვის;
- წარმოადგენენ იდენტიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს, რომლებიც ერთდროულად იმართება და რომლისთვისაც არსებობს მოკლევადიანი მოგების მიღების მიმდინარე ფაქტიური ნიშნები;

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებას ან შექმნილ და მოქმედ ჰეჯირების ინსტრუმენტებს) ან საწყისი აღიარებისას აღიარდებიან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

ყველა სავაჭრო წარმოებული ინსტრუმენტი წმინდა მოთხოვნის პოზიციაზე (დადებითი რეალური ღირებულება) აღირიცხება აქტივების სახით. ყველა სავაჭრო წარმოებული ინსტრუმენტი წმინდა მოთხოვნის პოზიციაში (ნეგატიური რეალური ღირებულება) აღირიცხება ვალდებულებების სახით.

კომპანია 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ ფლობდა დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს და გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) *რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით*

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

- (i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;
- (ii) თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) *სხვა ფინანსური ვალდებულებები*

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხით წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	50
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	2-7
სატრანსპორტო საშუალებები	7
სხვა	7-10
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება მოგება-ზარალში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ამ მეთოდის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან მოკლე პერიოდის განმავლობაში.

დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გასაანგარიშებლად გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება, როგორც წესი, ხდება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება, ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემთხვევაში იმ მოცულობით, რამდენადაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც გაიქვითება ეს გამოსაქვითი დროებითი სხვაობები.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაისინჯება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის საკმარისი დასაბეგრი მოგების მიღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზაციის პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (და საგადასახადო კანონების) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის მიმდინარე ეფექტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სხვა შემოსავლები და ხარჯები

საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მსესხებლისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სესხების და მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს სესხების პორტფელს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს სესხების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური სესხის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს მსესხებლის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს სესხების პორტფელზე. მენეჯმენტი წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს სესხების პორტფელის გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია მენეჯმენტის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **მოგების გადასახადი** - კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

- **ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები** - ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	896,942	780,594
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	413,991	463,122
ავტომატური უზრუნველყოფილი სესხები	168,133	240,041
არაუზრუნველყოფილი სესხები	411,966	34,213
სულ	1,891,032	1,517,970

5. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ბანკებისგან მიღებული სესხები	(644,345)	(392,367)
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	(314,230)	(221,851)
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	(22,407)	(926)
სულ	(980,982)	(615,144)

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ვალუტის ვაჭრობით მიღებული მოგება	492,179	568,263
მიღებული ჯარიმები	325,810	352,407
სხვა	54,227	24,987
სულ	872,216	945,657

7. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ძირითადი ხელფასი	(513,849)	(313,139)
პრემიები	(23,109)	(8,174)
სულ	(536,958)	(321,313)

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

8. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ოფისის ხარჯები	(95,192)	(58,228)
ბანკის საკომისიო	(61,590)	(16,341)
ჯარიმები და საურავები	(59,800)	(4,800)
იჯარა	(45,264)	(18,513)
გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(31,924)	(21,045)
კომუნალური მომსახურების ხარჯები	(23,709)	(13,782)
საკომუნიკაციო ხარჯები	(12,732)	(11,345)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	(22,425)	(24,100)
სხვა	(38,617)	(26,573)
სულ	(391,253)	(194,727)

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურების ღირებულება შეადგენს 11,000 და 10,000 ლარს, შესაბამისად.

9. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ფული და ფულის ეკვივალენტები	36,276	62,287
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	136,178	62,451
სულ	172,454	124,738

10. მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

ეფექტური მოგების გადასახადის განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით დადგენილი ნორმისგან. მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია საკანონმდებლო და ფაქტიური განაკვეთის მიხედვით არის შემდეგი:

	2017	2016
მოგება დაბეგვრამდე	873,783	1,258,605
მოგების გადასახადის საკანონმდებლო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი საკანონმდებლო განაკვეთით	(131,067)	(188,791)
საგადასახადო მიზნით გამოუქვითავი ხარჯი	(24,167)	-
საგადასახადო მიზნით დაუბეგრავი შემოსავალი	-	80,962
მოგების გადასახადის ხარჯი	(155,234)	(107,829)

მოგების გადასახადის ხარჯი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	(169,095)	(195,167)
გადავადებული მოგების გადასახადი	13,861	87,338
სულ	(155,234)	(107,829)

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

10. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დროებითი სხვაობების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31.12.2016	ცვლილება მოგება- ზარალში	31.12.2017
გამოსაქვითი დროებითი სხვაობები			
მიღებული სესხები	3,130	12,312	15,442
სხვა ვალდებულებები	2,002	3,622	5,624
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი, გროსი	5,132	15,934	21,066
დასაბეგრი დროებითი სხვაობები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(25,475)	(1,865)	(27,340)
გაცემული სესხები	-	(208)	(208)
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება, გროსი	(25,475)	(2,073)	(27,548)
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება, ნეტო	(20,343)	13,861	(6,482)

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება დროებითი სხვაობების მიხედვით 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	01.01.2016	ცვლილება მოგება- ზარალში	31.12.2016
გამოსაქვითი დროებითი სხვაობები			
მიღებული სესხები	-	3,130	3,130
სხვა ვალდებულებები	-	2,002	2,002
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი, გროსი	-	5,132	5,132
დასაბეგრი დროებითი სხვაობები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(107,681)	82,206	(25,475)
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება, გროსი	(107,681)	82,206	(25,475)
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება, ნეტო	(107,681)	87,338	(20,343)

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	ოფისის აღჭურვი ლობა	სატრანსპორ ტო საშუალებები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	სხვა	სულ
2016 წლი 1 იანვარი	611,298	168,332	23,933	84,284	4,033	891,880
შემოსვლა	445,014	125,569	145,915		7,789	724,287
შიდა გადაადგილება	84,284	-	-	(84,284)	-	-
გასვლა	-	-	(23,933)	-	-	(23,933)
2016 წლის 31 დეკემბერი	1,140,596	293,901	145,915	-	11,822	1,592,234
შემოსვლა	1,866	43,751	73,524	-	922	120,063
2017 წლის 31 დეკემბერი	1,142,462	337,652	219,439	-	12,744	1,712,297

დაგროვილი ცვეთა

2016 წლის 01 იანვარი	(31,785)	(46,923)	(6,838)	-	(1,279)	(86,825)
ცვეთა	(23,293)	(39,023)	(20,845)	-	(1,835)	(84,996)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	6,839	-	-	6,839
2016 წლის 31 დეკემბერი	(55,078)	(85,946)	(20,844)	-	(3,114)	(164,982)
ცვეთა	(23,330)	(45,462)	(31,348)	-	(2,075)	(102,215)
2017 წლის 31 დეკემბერი	(78,408)	(131,408)	(52,192)	-	(5,189)	(267,197)

საბალანსო ღირებულება

2016 წლის 1 იანვარი	579,513	121,409	17,095	84,284	2,754	805,055
2016 წლის 31 დეკემბერი	1,085,518	207,955	125,071	-	8,708	1,427,252
2017 წლის 31 დეკემბერი	1,064,054	206,244	167,247	-	7,555	1,445,100

ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული საოფისე ფართებით სადაც განლაგებულია კომპანიის ფილიალები, ასევე გელა გუგუმბერიძისა და ლიანა ლექვთაძის (კომპანიის დამფუძნებლის ოჯახის წევრები) საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართებით.

არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 5,158, 6,303 და 447 ლარს, შესაბამისად.

12. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
მთლიანი გაცემული სესხები	8,539,548	7,679,823	6,399,329
მინუს: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(182,638)	(213,632)	(203,919)
წმინდა გაცემული სესხები	8,356,910	7,466,191	6,195,410

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ცვლილებები სესხის გაუფასურების რეზერვში 2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	(213,632)	(203,919)
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება	(55,546)	(113,580)
უიმედო ვალების ჩამოწრა	86,540	103,867
ნაშთი წლის ბოლოს	(182,638)	(213,632)

საექვო ვალების რეზერვის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	(83,007)	(100,024)	(165,218)
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	(34,757)	(71,675)	(8,331)
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	(4,292)	(30,578)	(30,370)
არაუზრუნველყოფილი სესხები	(60,582)	(11,355)	-
სულ	(182,638)	(213,632)	(203,919)

გაცემული სესხები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017		31.12.2016		01.01.2016	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
გაცემული სესხები	4,894,262	3,505,733	1,139,448	6,365,700	24,074	6,271,113
დარიცხული პროცენტები	85,652	53,901	21,351	153,324	219	103,923
მთლიანი გაცემული სესხები	4,979,914	3,559,634	1,160,799	6,519,024	24,293	6,375,036
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(93,172)	(89,466)	(26,142)	(187,490)	-	(203,919)
წმინდა გაცემული სესხები	4,886,742	3,470,168	1,134,657	6,331,534	24,293	6,171,117

პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	4,865,872	4,657,527	4,230,835
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	1,799,707	1,941,587	1,623,339
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	439,030	536,939	545,155
არაუზრუნველყოფილი სესხები	1,434,939	543,770	-
სულ გაუფასურებამდე	8,539,548	7,679,823	6,399,329
მინუს: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(182,638)	(213,632)	(203,919)
წმინდა გაცემული სესხები	8,356,910	7,466,191	6,195,410

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
მიმდინარე სესხები	7,024,586	6,250,586	5,294,780
სესხები 30-დღემდე ვადაგადაცილებით	359,960	122,664	33,045
სესხები 30-დან 59 დღემდე ვადაგადაცილებით	164,940	25,477	17,535
სესხები 60 დან-119 დღემდე ვადაგადაცილებით	251,690	7,115	33,085
სესხები 120 და მეტი დღით ვადაგადაცილებით	738,372	1,273,981	1,020,884
სულ გაუფასურებამდე	8,539,548	7,679,823	6,399,329
მინუს: ანარიცხი გაუფასურების ზარალისთვის	(182,638)	(213,632)	(203,919)
წმინდა გაცემული სესხები	8,356,910	7,466,191	6,195,410

გაცემული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დაფარვის ვადების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

13. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ფინანსური აქტივები			
სხვა მოთხოვნები	18,353	13,535	-
სულ ფინანსური აქტივები	18,353	13,535	-
არაფინანსური აქტივები			
გადახდილი ავანსები	25,563	21,914	235
მარაგები	560	164	-
სულ არაფინანსური აქტივები	26,123	22,078	235
სულ	44,476	35,613	235

14. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით შედგება უცხოური ვალუტის კონტრაქტებისგან, კერძოდ, კომპანიას დადებული აქვს სვოპ კონტრაქტები (ყიდვა - ლარი, გაყიდვა აშშ დოლარი) რათა მართოს სავალუტო რისკები. აღნიშნული კონტრაქტების ვადიანობა მოიცავს 1 წლამდე პერიოდს. იმ კონტრაქტების არარეალიზებული მოგება ან ზარალი, რომელთა ვადა ჯერ არ გასულა, შესაბამისად აღიარდება მოგებაში ან ზარალში და რეალური ღირებულებით აღრიცხება ფინანსურ ინსტრუმენტებში მოგებაში ან ზარალში ასახვით. სვოპ კონტრაქტებიდან აღიარებულმა წმინდა მოგებამ 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 5,037 ლარი.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ფული სალაროში	1,580,573	880,301	496,034
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	600,749	8,367	482,047
სულ	2,181,322	888,668	978,081

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

ფული და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

16. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ძირი	7,885,946	6,426,615	5,543,779
პროცენტი	108,685	19,444	16,824
ჯამი	7,994,631	6,446,059	5,560,603

გრძელვადიანი სესხები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ბანკებისგან მიღებული სესხები	147,406	684,564	3,680,194
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	-	1,222,822	-
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	388,830	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები	536,236	1,907,386	3,680,194

მოკლევადიანი სესხები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ბანკებისგან მიღებული სესხები	5,015,753	2,906,236	567,335
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	2,442,642	1,581,511	1,313,074
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	-	50,926	-
სულ მოკლევადიანი სესხები	7,458,395	4,538,673	1,880,409

მიღებული სესხის რეკონსილაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	გრძელვადიანი	სულ
2017 წლის 1 იანვარი	4,538,673	1,907,386	6,446,059
მონეტარული ცვლილებები	(22,585)	783,180	760,595
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(166,754)	(11,500)	(178,254)
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	2,142,830	(2,142,830)	-
დარიცხული პროცენტი	980,982	-	980,982
2017 წლის 31 დეკემბერი	7,473,146	536,236	8,009,382

ბანკებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-11 შენიშვნაში. ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხები შედგება არაუზრუნველყოფილი სესხებისგან.

მიღებული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დაფარვის ვადების და ვალუტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

17. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოადგენს მომწოდებლების მიმართ არსებულ დავალიანებებს, რომელთა ღირებულება მოიცავს 49,786, 31,524 და 4,625 ლარს, შესაბამისად.

სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

დაფარვის ვადების და ვალუტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

18. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 155,499 და 132,764 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო ვალდებულება. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო სიდიდე შეადგენს საგადასახადო აქტივს 4,086 ლარის ოდენობით.

19. ფინანსური რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებათ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ამგვარი მარეგულირებელი წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ საქმიანობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევენ მას, არამედ ადგენენ გარკვეულ შემზღუდავ ნორმებსაც, მაგალითად, კაპიტალის ნორმებს, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების წარმოშობის შედეგად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დეფოლტისა და გაკოტრების რისკების მინიმიზაციისთვის. კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია საკმარისი ლიკვიდური აქტივების შენარჩუნებისთვის, საზედამხებდებლო ორგანოს მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

ეროვნული ბანკი ადგენს კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. კომპანია 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შესატანი არ უნდა იყოს 250,000 (ორას ორმოცდაათი ათას) ლარზე ნაკლები.

კომპანია, თავისი საქმიანობის მანძილზე, დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა ფინანსური რისკის წინაშე იდგეს, შემდეგია:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	8,356,910	7,466,191	6,195,410
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,181,322	888,668	978,081
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	5,037	-	-
სხვა აქტივები	18,353	13,535	-
სულ ფინანსური აქტივები	10,561,622	8,368,394	7,173,491

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	8,009,382	6,446,059	5,560,603
სხვა ვალდებულებები	49,786	31,524	4,625
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,059,168	6,477,583	5,565,228

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელშიც გათვალისწინებულია საკრედიტო კომიტეტების შექმნა. კომიტეტს ევალება წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების შეფასება და მათი მისაღებ დონემდე დაყვანა. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს სასესხო განაცხადის განხილვის და დამტკიცების პროცედურებს, მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასებას, უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას, საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მონიტორინგის პროცედურებს. საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსების შესახებ. კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი. კომპანიის პოლიტიკით დადგენილ ლიმიტს ზემოთ არსებული სასესხო განაცხადები დასამტკიცებლად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს.

კლიენტის ბიზნესის მონიტორინგის საფუძველზე მისი გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. სესხების რეგულარული მონიტორინგი ხორციელდება მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ.

საკრედიტო რისკების კონტროლი ასევე ნაწილობრივ ხორციელდება გირაოსა და თავდებობის მეშვეობით.

კომპანია გაცემული სესხებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. ანარიცხების მცირე ნაწილი წარმოდგენილია სპეციფიკური რეზერვის სახით, რომელიც იანგარიშება თითოეული მნიშვნელოვანი კონტრაგენტის ანალიზის შედეგად.

კლიენტებზე გაცემული გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებისა და საკრედიტო რისკების ანალიზისთვის იხილეთ მე-12 შენიშვნა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეებს წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილებში მოცემული კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი დაფუძნებულია დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	7,473,146	536,236	8,009,382
სხვა ვალდებულებები	49,786	-	49,786
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,522,932	536,236	8,059,168

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	4,538,673	1,907,386	6,446,059
სხვა ვალდებულებები	31,524	-	31,524
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,570,197	1,907,386	6,477,583

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	1,880,409	3,680,194	5,560,603
სხვა ვალდებულებები	4,625	-	4,625
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,885,034	3,680,194	5,565,228

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანია სავალუტო რისკების მართვას ახორციელებს სავალუტო კონტრაქტების საშუალებით (შენიშვნა 14).

სავალუტო რისკის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი 1 = 2.5922 ლარი	ევრო 1 = 3.1044 ლარი	გირვანქა სტერლინგ ი 1 = 3.5005 ლარი	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები						
პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	4,886,742	3,470,168	-	-	-	8,356,910
ფული და ფულის ექვივალენტები	469,816	1,384,593	205,109	26,719	95,085	2,181,322
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	5,037	-	-	-	5,037
სხვა აქტივები	18,353	-	-	-	-	18,353
სულ ფინანსური აქტივები	5,374,911	4,859,798	205,109	26,719	95,085	10,561,622
ფინანსური ვალდებულებები						
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	4,346,038	3,663,344	-	-	-	8,009,382
სხვა ვალდებულებები	49,786	-	-	-	-	49,786
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,395,824	3,663,344	-	-	-	8,059,168
ღია სავალუტო პოზიცია	979,087	1,196,454	205,109	26,719	95,085	

სავალუტო რისკის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი 1 = 2.6468 ლარი	ევრო 1 = 2.7940 ლარი	გირვანქა სტერლინგ ი 1 = 3.2579 ლარი	სხვა ვალუტა	სულ
ფინანსური აქტივები						
პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	1,134,657	6,331,534	-	-	-	7,466,191
ფული და ფულის ექვივალენტები	550,540	86,910	161,699	31,325	58,194	888,668
სხვა აქტივები	13,535	-	-	-	-	13,535
სულ ფინანსური აქტივები	1,698,732	6,418,444	161,699	31,325	58,194	8,368,394
ფინანსური ვალდებულებები						
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	3,590,800	2,855,259	-	-	-	6,446,059
სხვა ვალდებულებები	31,524	-	-	-	-	31,524
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,622,324	2,855,259	-	-	-	6,477,583
ღია სავალუტო პოზიცია	(1,923,592)	3,563,185	161,699	31,325	58,194	

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ანალიზი 2016 წლის 1 იანვრის მდგმარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი 1 = 2.3949 ლარი	ევრო 1 = 2.6169 ლარი	გირვანქა სტერლინგ ი 1 = 3.5492 ლარი	სხვა ვალუტა	სულ
ფინანსური აქტივები						
პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	24,293	6,171,117	-	-	-	6,195,410
ფული და ფულის ექვივალენტები	206,404	717,195	25,993	8,660	19,829	978,081
სულ ფინანსური აქტივები	230,697	6,888,312	25,993	8,660	19,829	7,173,491
ფინანსური ვალდებულებები						
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	1,419,854	4,095,777	44,972	-	-	5,560,603
სხვა ვალდებულებები	5,565,228	-	-	-	-	5,565,228
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,985,082	4,095,777	44,972	-	-	11,125,831
ღია სავალუტო პოზიცია	(6,754,385)	2,792,535	(18,979)	8,660	19,829	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ევროს და გირვანქა სტერლინგის ლართან მიმართებაში 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	აშშ დოლარი		ევრო		გირ. სტერლინგი	
	ლარი/ დოლარი 20%	ლარი/ დოლარი - 20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ ევრო - 20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ ევრო - 20%
მოგება/ზარალი	239,291	(239,291)	41,022	(41,022)	5,344	(5,344)

	აშშ დოლარი		ევრო		გირ. სტერლინგი	
	ლარი/ დოლარი 20%	ლარი/ დოლარი - 20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ ევრო - 20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ ევრო - 20%
მოგება/ზარალი	712,637	(712,637)	32,340	(32,340)	6,265	(6,265)

	აშშ დოლარი		ევრო		გირ. სტერლინგი	
	ლარი/ დოლარი 20%	ლარი/ დოლარი - 20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ ევრო - 20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ ევრო - 20%
მოგება/ზარალი	558,507	(558,507)	(3,796)	3,796	1,732	(1,732)

20. რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

ა). რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით წარმოდგენს ფინანსურ აქტივებს, რომელთა დაკავშირებით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს რეალური ღირებულებით წარდგენას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი იერარქიის დონის მიხედვით:

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

20. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	31.12.2017			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	5,037	-	5,037

2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობდა რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ინსტრუმენტებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგია და მონაცემები მე-2 დონის იერარქიისთვის მოიცავს შემდეგს:

შეფასების მეთოდოლოგია: ფორვარდული ფასის გამოყენებით მიმდინარე ღირებულების განგარიშება;

შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემები: სახელმწიფო ობლიგაციების ურისკო საპროცენტო განაკვეთი, ოფიციალური გაცვლითი კურსი.

ბ). ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით და რომელთა დაკავშირებითაც მოითხოვება რეალური ღირებულების წარდგენა

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	31.12.2017			31.12.2016			01.01.2016		
	დონე 1	დონე 2	დონე 3	დონე 1	დონე 2	დონე 3	დონე 1	დონე 2	დონე 3
ფინანსური აქტივები									
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,181,322	-	-	888,668	-	-	978,081	-	-
გაცემული სესხები	-	-	8,356,910	-	-	7,466,191	-	-	6,195,410
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	18,353	-	-	13,535	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	2,181,322	-	8,375,263	888,668	-	7,479,726	978,081	-	6,195,410

ფინანსური ვალდებულებები									
ბანკებისგან მიღებული სესხები	-	5,177,910	-	-	3,590,800	-	-	4,247,529	-
ფიზ. და იურ. პირებისგან მიღებული სესხები	-	-	2,831,472	-	-	2,855,259	-	-	1,313,074
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	49,786	-	-	31,524	-	-	4,625
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	5,177,910	2,881,258	-	3,590,800	2,886,783	-	4,247,529	1,317,699

რეალური ღირებულების შეფასება მე-2 და მე-3 იერარქიისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკონტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

21. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
საპროცენტო ხარჯი	(104,111)	(105,743)	(7,874)	(980,982)
პერსონალის ხარჯები	(24,120)	-	-	(536,958)

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
საპროცენტო ხარჯი	-	(86,842)	-	(615,144)
პერსონალის ხარჯები	(26,520)	-	-	(321,313)

2017 წლის 31 მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობაში ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მიღებული სესხები	498,476	1,036,880	90,209	8,009,382

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობაში ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მიღებული სესხები	-	899,118	-	6,446,059

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობაში ანგარიშგებაში ასახული ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებელი	უმაღლესი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში
მიღებული სესხები	-	475,268	-	5,560,603

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

შემდეგი ცვლილებები განხორციელდა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანა ცვლილება მდე	კორექტი რება	რეკლასიფ იკაცია	თანა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
აქტივები					
ძირითადი საშუალება	1,420,949		6,303	1,427,252	არამატერიალური აქტივების გადატანა სხვა აქტივებიდან ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მუხლში. საგადასახადო ვალდებულებების გამოყოფა სხვა ვალდებულებების მუხლიდან და საგადასახადო აქტივების მუხლში ნეტო საფუძველზე წარდგენა, საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე.
სხვა აქტივები	41,916		(6,303)	35,613	
საგადასახადო აქტივები	8,355		(4,269)	4,086	
ვალდებულებები					
სხვა ვალდებულებები	35,793		(4,269)	31,524	საგადასახადო ვალდებულებების გამოყოფა სხვა ვალდებულებების მუხლიდან და საგადასახადო აქტივების მუხლში ნეტო საფუძველზე წარდგენა, საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე.
სრული შემოსავლის ანგარიშგება					
საპროცენტო შემოსავალი	1,870,377	(352,407)	-	1,517,970	ჯარიმიდან მიღებული შემოსავლების წარდგენა სხვა შემოსავლების მუხლში.
სხვა შემოსავალი	6,825	938,832	-	945,657	ჯარიმიდან და ვალუტის ვაჭრობით მიღებული მოგების წარდგენა სხვა შემოსავლების მუხლში.
სხვა ხარჯები	(582,876)	(18,160)	406,309	(194,727)	პერსონალის და ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯის გამოყოფა სხვა ხარჯებიდან და ცალკე მუხლად წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში
პერსონალის ხარჯები	-	-	(321,313)	(321,313)	პერსონალის ხარჯების ცალკე მუხლად წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში.
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	693,002	(568,264)	-	124,738	ვალუტის ვაჭრობით მიღებული მოგების წარდგენა სხვა შემოსავლების მუხლში.
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	(84,996)	(84,996)	ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯის ცალკე მუხლად წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „მისო გირო კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

22. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილება მდე	კორექტირ ება	რეკლასიფ იკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
ფულადი სახსრების ანგარიშგება					
ცვეთა და ამორტიზაცია	83,907	1,089	-	84,996	არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის წარდგენა ცვეთის და ამორტიზაციის მუხლში.
საპროცენტო შემოსავალი	(1,870,377)	352,407	-	(1,517,970)	ჯარიმიდან მიღებული შემოსავლების გადატანა საპროცენტო შემოსავლებიდან და სხვა შემოსავლების მუხლში წარდგენა.
სხვა აქტივები	(41,232)	(1,089)	-	(42,321)	არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის წარდგენა ცვეთის და ამორტიზაციის მუხლში.
მიღებული პროცენტი	1,822,767	(352,407)	-	1,470,360	ჯარიმიდან მიღებული შემოსავლების გადატანა საპროცენტო შემოსავლებიდან და სხვა შემოსავლების მუხლში წარდგენა.

შემდეგი ცვლილებები განხორციელდა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	თანხა ცვლილება მდე	კორექტირ ება	რეკლასიფ იკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ	კომენტარი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
აქტივები					
ძირითადი საშუალება	804,608	-	447	805,055	არამატერიალური აქტივების გადატანა სხვა აქტივებიდან ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მუხლში.
სხვა აქტივები	682	-	(447)	235	

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

ცვლილებები კანონმდებლობაში - 2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა შემდეგი ცვლილებები:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ინდივიდუალურ მსესხებელზე გაცემული მიკროკრედიტი არ უნდა აღემატებოდეს 100,000 ლარს (ცვლილებამდე შეზღუდვა იყო 50,000 ლარი);
- რეგისტრაციის თარიღისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ავტორიზებული კაპიტალი არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები (ცვლილებამდე შეზღუდვა იყო 250,000 ლარი). უკვე არსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ავტორიზებული კაპიტალი უნდა შეივსოს 2019 წლის 1 ივლისისთვის, შემდეგი სქემით:
 - 2018 წლის 1 სექტემბრისთვის არა ნაკლებ 500,000 ლარისა;
 - 2019 წლის 1 ივლისისთვის არა ნაკლებ 1,000,000 ლარისა.

ავტორიზებული კაპიტალი უნდა შეივსოს მხოლოდ ფულადი შენატანებით.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

შპს „მისო გირო კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად	3
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	4
კომპანიის ისტორია და საქმიანობა.....	4
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა.....	6
კომპანიის ფილიალები	7
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	9
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	10
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	10
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	11

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს “მისო გირო კრედიტის” დამფუძნებელს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 24 მაისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)


შპს „ბიდიოს“ სახელით

სექტემბერი 28, 2018

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა




კომპანიის ისტორია და საქმიანობა

კომპანია გირო კრედიტი დაარსდა 2010 წლის ოქტომბერში, 2011 წლის დეკემბერში მას მიენიჭა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი. თავდაპირველად კომპანია მომხმარებელს თავაზობდა სალომბარდე ტიპის სესხებს და ვალუტის გადაცვლის სერვისებს, ხოლო 2016 წლის სექტემბერში გირო კრედიტმა დაიწყო ბიზნეს სესხების პროდუქტი.




გირო კრედიტის ყველა ფილიალში კლიენტებს შეუძლიათ იყიდონ ან გაყიდონ შემდეგი ვალუტები: მიიღონ შემდეგი სასესხო პროდუქტები:

USD	აშშ დოლარი	TRY	თურქული ლირა
GBP	გირვანქა სტერლინგი	RUB	რუსული რუბლი
EUR	ევრო	AZN	აზერბაიჯანული მანათი



კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა



კომპანიის ფილიალები

კომპანიამ მოღვაწეობა დაიწყო ერთი ფილიალით, ხოლო ამჟამად ოპერირებს ხუთი ფილიალის საშუალებით. ყველა ფილიალი მდებარეობს თბილისში და მუშაობს 24/7 რეჟიმით.

ფილიალები მდებარეობს ქ.თბილისში შემდეგ მისამართებზე:

ალ.ყაზბეგის გამზირი N 19ა	
ალ.ყაზბეგის გამზირი N 31	
ხიზანიშვილის ქ. N19	
პეკინის გამზირი N 3	
ც.დადიანის ქ. N 195	


გირო კრედიტის ყველა ფილიალში კლიენტებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სასესხო პროდუქტები:

ავტო სესხი
იპოთეკური სესხი
ბიზნეს სესხი
ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი სესხი

სასესხო პროდუქტები ფილიალების მიხედვით არის შემდეგი სახით წარმოდგენილი:

ალ.ყაზბეგის გამზირი N 19ა	•ბიზნეს, ავტო, იპოთეკური, ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი სესხები
ალ.ყაზბეგის გამზირი N 31	•ბიზნეს, ავტო, იპოთეკური, ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი სესხები
ხიზანიშვილის ქ. N19	•ბიზნეს, ავტო, იპოთეკური, ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი სესხები
პეკინის გამზირი N 3	•ბიზნეს, ავტო, იპოთეკური, ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი სესხები
ც.დადიანის ქ. N 195	•ბიზნეს და ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი სესხები

2017 წლის ბოლოს პორტფელის მოცულობა ფილიალების მიხედვით “000” ლარი.




შპს „მისო გირო კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

2017 წლის ბოლოს აქტიური (სესხის მიმღები) კლიენტების რაოდენობა ფილიალების მიხედვით.



ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ორგანიზაცია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

ლარი "000"	2017	2016
სასესხო პორტფელი	8 357	7 466
მთლიანი საოპერაციო შემოსავლები	2 763	2 464
მთლიანი კაპიტალი	3 812	3 324
წმინდა მოგება	719	1 151
საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი*	13.0%	8.5%
ROA**	6.6%	12.9%
ROE**	20.2%	41.9%
საოპერაციო მოგების მარჟა***	96%	139%

*საოპერაციო ხარჯები/საშუალო სასესხო პორტფელი

**ROA = წმინდა მოგება/საშუალო აქტივები, ROE = წმინდა მოგება/საშუალო კაპიტალი

***საოპერაციო შემოსავლები დაბეგვრამდე/მთლიანი საოპერაციო შემოსავლები

ორგანიზაციის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2017	2016
თანამშრომლების რაოდენობა	45	32
აქტიური მსესხებლების რაოდენობა	3 830	3 096

გირო კრედიტის პორტფელიც და საოპერაციო შემოსავლებიც გაიზარდა 2017 წლის განმავლობაში. მაგრამ შემცირდა წმინდა მოგება, რაც გამოწვეული იყო საოპერაციო ხარჯების ზრდით. საოპერაციო ხარჯების ზრდა განაპირობა, (1) ახალი პოზიციების და (2) ახალი სისტემების დამატებამ. დაემატა როგორც მენეჯერული ისე არამენეჯერული პოზიციები. კომპანია ჩაერთო Bloomberg - ის და Accuity-ს სისტემებში. ასევე, აღსანიშნავია რომ კომპანიამ 2018 წლის

შპს „მისო გირო კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

განმავლობაში შეცვალა თავისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა კომპანიის სტარტეგიული გეგმების მიღწევისთვის საჭირო მოთხოვნებს.

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსებას, საკუთარი სახსრების გარდა გირო კრედიტი აფინანსებდა თავის საქმიანობას ადგილობრივი წამყვანი ბანკიდან და ფიზიკური პირებისგან მოზიდული სახსრებით. აღსანიშნავია რომ 2017 წელს კომპანიამ მოიზიდა სესხი საერთაშორისო ფონდისგან.

განვითარების გეგმები

შპს „მისო გირო კრედიტი“ ზრდაზე ორიენტირებული კომპანიაა. მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები მოიცავს, ფილიალების დამატებას როგორც თბილისში ისე რეგიონებში და ახალი პროდუქტების დანერგვას.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. კომპანია თავის საქმიანობის პროცესში დგას შემდეგი რისკების წინაშე.

საკრედიტო რისკი: რისკი რომ კლიენტები ვერ შეძლებენ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებას გაცემულ სესხებთან მიმართებაში. კომპანიის სასესხო პორტფელის უმეტესი ნაწილი წარმოადგენს უზრუნველყოფილ სესხებს. არაუზრუნველყოფილი სესხების სეგმენტში ხვდება, ბიზნეს სესხების გარკვეული ნაწილი რომლებიც გაცემულია ბიზნესის ფულის გენერირების პოტენციალის გათვალისწინებით. კომპანიის გააჩნია საკრედიტო პოლიტიკა რომელიც განსაზღვრავს სესხის გაცემის პროცედურას, და სესხის მონიტორინგის პროცედურას. პროცედურებში თავის მხრივ განსაზღვრულია ისეთი საკითხები როგორიც არის სესხების ლიმიტები, სესხების რესტრუქტურისა და რეფინანსირების წესები, და საკრედიტო კომიტეტის მუშაობის პრინციპები. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 19).

საოპერაციო რისკი: გულისხმობს პოტენციურ დანაკარგებს რომლებიც გამომდინარეობს შიდა კონტროლის სისტემის არქონის, არასაკმარისი ან დაბალი კადრების კვალიფიკაციით, სააღრიცხვო და საოპერაციო სისტემების არაადეკვატურობით, ადამიანური დაუდევრობით, შეცდომებით და თაღლითობით. გირო კრედიტი მუდმივად აუმაღლებს შიდა კონტრილოს სისტემას. რაც გამოიხატება პოლიტიკის და პროცედურების გაუმჯობესებაში და კომპანიის მიმდინარე მოთხოვნილებებზე მორგებაში. ხოლო თავის მხრივ შიდა აუდიტის სამსახური ამოწმებს თუ რამდენად არის დაცული პროცედურებით განსაზღვრული ქმედებები. აღსანიშნავია რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საოპერაციო და სააღრიცხვო სისტემის გამართულობას. მუდმივად ხდება სისტემის დახვეწა, ახალი ფინქციონალების დამატება და ავტომატიზაცია.

სავალუტო რისკი: გულისხმობს აქტივების ან/და შემოსავლების გაუფასურებას რომელიც გამოწვეულია ვალუტის კურსის ცვლილებით. ვალუტის გადაფასების რისკი რელევანტური ხდება იმ შემთხვევაში როდესაც კომპანია სესხულობს ერთ ვალუტაში და გასცემს სესხებს სხვა ვალუტაში. კომპანია გამუდმებით აკონტროლებს სავალუტო გახსნილ პოზიციებს, ცდილობს დაამთხვიოს აქტივები და პასივების სტრუქტურა და მინიმუმამდე დაიყვანოს გახსნილი პოზიციები. კომპანია იყენებს სავალუტო სვოპ კონტრაქტებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 19).

ლიკვიდურობის რისკი: არის რისკი რომ კომპანია ვერ შეძლებს მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრებას. გირო კრედიტს თავისი ოპერაციების სპეციფიკიდან გამომდინარე გააჩნია ნაღდი ფულის მაღალი ნაშთები (მთლიანი აქტივების 18%). საჭიროების შემთხვევაში კომპანიას შეუძლია ეს თანხები გამოიყენოს მიმდინარე ვალდებულების დასაფარავად. კომპანიას აქვს წვდომა საკრედიტო ხაზებზე და შეუძლია დამატებითი სახსრების სესხება საჭიროების შემთხვევაში. ასევე, ფინანსური დეპარტამენტი ახორციელებს მოსალოდნელი შემოდინებების და გაგინების ანალიზს. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 19).

დაფინანსების რისკი: გულისხმობს რომ კომპანია ვერ შეძლებს საკმარისი ფონდების მოძიებას დაგეგმილი ზრდის დასაფინანსებლად. ამ რისკის მინიმიზაციისთვის კომპანია ცდილობს მოახდინოს პოტენციური წყაროების დივერსიფიკაცია. კერძოდ, გირო კრედიტის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა საერთაშორისო ფონდირებაზე წვდომის მოპოვება.

ლარის გაუფასურება: ლარის გაუფასურება რომელიც დაიწყო 2014 წლის ოქტომბერში ნეგატიურ გავლენას ახდენს მთლიან ბიზნეს აქტივობაზე. ბიზნეს აქტივობის შემცირება თავის მხრივ ამცირებს სესხებზე მოთხოვნას და ზრდის სესხებზე ვადაგადაცილების ალბათობას. ეს არის მაკროეკონომიკური რისკი რომელიც ნეგატიურ მოქმედებს მთლიან ეკონომიკაზე. შესაბამისად, ამ რისკის ბოლომდე განეიტრალება შეუძლებელია. გირო კრედიტის პოლიტიკის მიხედვით აქტივების გარკვეული ნაწილი უნდა იყოს უცხოურ ვალუტაში.

კონკურენცია: ადგილობრივი მიკროსაფინანსო ბაზრი იმყოფება სიმწიფის ფაზაში, რაც ნიშნავს რომ კონკურენცია საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, ზრდის პოტენციალი არის შეზღუდული. ასევე, აღსანიშნავია რომ ბაზრის ფაზაც და ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები უბიძგებენ ბაზარს კონსოლიდაციისკენ. გირო კრედიტის შიდა სისტემის გამართულობა და ფინანსური სიძლიერე არის ფაქტორები, რომელთა საშუალებითაც კომპანია აპირებს თავისი სტრატეგიული ამოცანების მიღწევას.

საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2018 წელს შემოიღო რიგი ახალი რეგულაციების. მათ შორის აღსანიშნავია, რეგულაცია რომელიც ავალდებულებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გარკვეული კოეფიციენტების დაცვას. რეგულაცია ძალაში შევიდა 2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან. უშუალოდ გირო კრედიტს ეხება შემდეგი კოეფიციენტები, (1) კაპიტალის კოეფიციენტი, (2) ლიკვიდურობის კოეფიციენტი, (3) ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი, (4) დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი. პირველ სამ კოეფიციენტს კომპანია სრულად აკმაყოფილებს, ხოლო მეოთხე კოეფიციენტზე კომპანიას დაუწესდა განრიგი რომლის განმავლობაშიც კომპანია ეტაპობრივად დაიყვანს კოეფიციენტს განსაზღვრულ დონემდე. მთლიანობაში, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები არ ახდენენ უარყოფით გავლენას კომპანიის საქმიანობაზე.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გ. გოგოლაშვილი